

ფინანსური ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

შპს აბი ასეკტ მენეჯმენტი

წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

მპს აბი ასეტ მენუქმენტის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მპს აბი ასეტ მენუქმენტის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება. აუდიტირებული ანგარიშგება გამოიცა 2021 წლის 31 მარტს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას ორგანიზაციის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ კომპანიის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანტ თორნტონის სახელით

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAL-07482600)

31 მარტი 2022



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარიში


	მენიშენა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	117,394	160,259
არამატერიალური აქტივები	5	35,971	45,629
აქტივის გამოყენების უფლება		-	52,414
სხვა აქტივები		2,831	1,989
ინვესტიციები	8	4,100	4,100
ფული საბანკო ანგარიშებზე	6	502,986	823,620
სულ აქტივები		<u>663,282</u>	<u>1,088,011</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		510,467	200,000
გაუნაწილებელი მოგება		109,028	551,545
		<u>619,495</u>	<u>751,545</u>
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		-	62,375
სხვა ვალდებულებები	7	43,787	269,431
საგადასახადო ვალდებულებები		-	4,660
		<u>43,787</u>	<u>336,466</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>663,282</u>	<u>1,088,011</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 31 მარტს:

ო. გუგუნი
დირექტორი



გ. სამნიძე
ბუღალტერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-28 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	117,394	160,259
არამატერიალური აქტივები	5	35,971	45,629
აქტივის გამოყენების უფლება		-	52,414
სხვა აქტივები		2,831	1,989
ინვესტიციები	8	4,100	4,100
ფული საბანკო ანგარიშებზე	6	502,986	823,620
სულ აქტივები		<u>663,282</u>	<u>1,088,011</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		510,467	200,000
გაუნაწილებელი მოგება		109,028	551,545
		<u>619,495</u>	<u>751,545</u>
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		-	62,375
სხვა ვალდებულებები	7	43,787	269,431
საგადასახადო ვალდებულებები		-	4,660
		<u>43,787</u>	<u>336,466</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>663,282</u>	<u>1,088,011</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 31 მარტს:

ო. გუვენი

დირექტორი

გ. სამნიძე

ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-28 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარში

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან		20,225	30
სხვა შემოსავალი		1,404	6,414
სულ შემოსავალი		21,629	6,444
თანამშრომელთა სარგებელი	9	(184,613)	(63,678)
სხვა ხარჯები	10	(187,076)	(119,186)
ცვეთა და ამორტიზაცია		(57,214)	(18,812)
ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი		(3,504)	19,825
საკურსო სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		(31,739)	98,122
ზარალი დაბეგვრამდე		(442,517)	(77,285)
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი		(442,517)	(77,285)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(442,517)	(77,285)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-28 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	200,000	628,830	828,830
წლის სრული ზარალი	-	(77,285)	(77,285)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	200,000	551,545	751,545
წლის სრული ზარალი	-	(442,517)	(442,517)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	310,467	-	310,467
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	510,467	109,028	619,495

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-28 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარში	მენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
ზარალი დაბეგვრამდე		(442,517)	(77,285)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		57,214	18,812
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	10	8,402	3,364
საპროცენტო შემოსავალი		(11,997)	(19,825)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი/(მოგება)		31,739	(98,122)
საოპერაციო ზარალი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		(357,159)	(173,056)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
ცვლილება სხვა აქტივებში		(842)	6,266
ცვლილება საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით		-	697,885
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		(277,524)	36,482
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(4,660)	3,205
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(640,185)	570,782
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(6,126)	-
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(6,126)	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		310,467	-
მიღებული პროცენტები		11,997	22,155
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		322,464	22,155
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება)/ზრდა		(323,847)	592,937
ფული საბანკო ანგარიშებზე წლის დასაწყისისთვის	6	823,620	129,740
ფული საბანკო ანგარიშებზე გადაფასების ეფექტი		3,213	100,943
ფული საბანკო ანგარიშებზე წლის ბოლოსთვის	6	502,986	823,620

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-28 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს "აბი ასეტ მენეჯმენტი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (205207970), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი N74 ა.

კომპანია საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2007 წლის 31 მაისს. შპს "აბი ასეტ მენეჯმენტი" ეწევა საბროკერო საქმიანობას და რეგულირდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით "საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე". კომპანია ახორციელებს საბროკერო, საკონსულტაციო და აქტივების მართვის მომსახურებებს. ასევე, ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს.

2020 წლის 23 ივლისს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ფიზიკური პირი ფატმა ოზთურქ გუმუშსუ (თურქეთი), რომელიც ანგარიშგების ხელმოწერის დღისთვის წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ მფლობელს.

კომპანიის ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიას ეროვნული ბანკისგან განსაზღვრული აქვს კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მოცულობა, რომელიც შეადგენს 500,000 ლარს, კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, დამატებითი ინფორმაცია მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იხილეთ მე-16.5 განმარტებითი შენიშვნაში. 2021 წელს აქციონერმა გაზარდა კომპანიის საწესდებო კაპიტალი 310,467 ლარით.

კომპანიის გენერალური დირექტორი არის ოზგურ გუვენ.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით (იხილეთ შენიშვნა 11.2).

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" (ფასს) შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საადრიცხო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნაში. ეს შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ

შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება სათანადოდ იმ წელს, როდესაც იცვლება გარემოებები.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის (სფაიკ) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია, რომელიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვრის ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

ქვემოთ აღწერილია ახალმა სტანდარტებმა და შესწორებებმა, რომელიც პირველად იქნა გამოყენებული 2020 წელს, არსებითი გავლენა არ იქონია კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა
სხვადასხვა	საპროცენტო განაკვეთის შეფასების ეტაპი 2 (ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 16-ში, ფასს 4-ში, ფასს 7-ში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის არსებული სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ არ არის ძალაში შესული, კომპანიას ჯერ არ დაუწყია მათი დანერგვა.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ, თუ კომპანია კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას აღნიშნული თარიღისთვის

მენეჯმენტი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ სტანდარტებისა და დამატებების შესაბამისად, რომლებიც ქვემოთ მოცემულია.

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა	ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის ან შემდეგ
ფასს 16	COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 30 ივნისი 2021	1 აპრილი 2021
ფასს 3	მითითებები კონცეპტუალურ ჩარჩოზე (ცვლილებები ფასს 3-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 16	შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2022
ბასს 37	მავალდებულებელი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 37-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2022
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	ფასს-ის 2018-2020 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება (შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ბასს 41-ში, ფასს 16-ში)	1 იანვარი 2022
ფასს 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები	1 იანვარი 2023

ფას 4	ფას 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების გაგრძელება (ცვლილებები ფას 4-ში)	1 იანვარი 2023
ფას 17	ფას 17-ისა და ფას 9-ის თავდაპირველი გამოყენება - შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფას 17-ში)	1 იანვარი 2023
ბას 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ცვლილება ბას 1-ში)	1 იანვარი 2023
ბას 12	გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციის შედეგად (ცვლილება ბას 12-ში)	1 იანვარი 2023

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა წელზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, გარდა ფუნქციონალური ვალუტისა, გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ოპერაციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსთვის 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი).

არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ოპერაციების დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ხარჯები დაკავშირებული იქარით აღებული ქონების კეთილმოწყობასთან კაპიტალიზირდება ცალკე აქტივად და იცვითება აქტივის სასიცოცხლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, როცა აქტივი მზად არის გამოყენებისთვის. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად არის განაწილებული:

იქარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 10 წელი
სხვა აქტივები	- 5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5 წელს.

3.4 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იქარით აღებული აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებისა და ყველა ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლების გადმოცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის

გასაწევ ხარჯებსა და იჯარის წამოწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია აქტივების გამოყენების უფლებისთვის იყენებს ცეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა აღვილად შეიძლება, ან გამოიყენოს კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმომოძილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა ადრინდეს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია), გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ღირებულებით ფასს 15-ის მიხედვით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი, ინვესტიციების გარდა დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით

შეფასებული ფინანსური აქტივი“, ინვესტიციები დაკლასიფიცირდა „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVTPL.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 12.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ბონდები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რეზერვებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვის დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 13 დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 12.2 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი კომპანია განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებელისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს ამ აქტივზე კონტროლს. აქტივის კონტროლი ეხება აქტივიდან სარგებლობის და არსებითად ყველა დანარჩენი სარგებელის გამოყენების შესაძლებლობას.

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის დასაქართველოს საფონდო ბირჟის საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე შემოსავალი ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში. ხელშეკრულებაში თითოეული ვალდებულებისთვის მითითებულია შესაბამისი საკომისიო.

კომპანიას ხელშეკრულების შესაბამისად არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

3.8 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

3.9 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 ფული საბანკო ანგარიშებზე

ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ფულის ნაშთებს, რომლებიც განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე. აგრეთვე ფულს გათავსებულს დეპოზიტებზე.

3.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

ყველა ტრანზაქცია აქციონერებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

3.13 მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. ისეთი ნივთები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე ინვენტარი და მომსახურებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა ასევე აღიარდება, როგორც მარაგი, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადაამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

4 ძირითადი საშუალებები

ლარში	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>				
2020 წლის 1 იანვარი	7,453	1,817	9,157	18,427
შემოსვლა	12,092	13,880	142,997	168,969
გასვლა	(7,453)	(1,817)	(9,157)	(18,427)
2020 წლის 31 დეკემბერი	12,092	13,880	142,997	168,969
შემოსვლა	5,932	-	3,109	9,041
გასვლა	(5,932)	(13,880)	(1,740)	(21,552)
2021 წლის 31 დეკემბერი	12,092	-	144,366	156,458
<i>დაგროვილი ცვეთა</i>				
2020 წლის 1 იანვარი	(7,286)	(1,817)	(5,961)	(15,064)
ცვეთა	(812)	(232)	(7,665)	(8,709)
გასვლა	7,285	1,817	5,961	15,063
2020 წლის 31 დეკემბერი	(813)	(232)	(7,665)	(8,710)
ცვეთა	(2,412)	(688)	(28,448)	(31,548)
გასვლა	-	920	274	1,194
2021 წლის 31 დეკემბერი	(3,225)	-	(35,839)	(39,064)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>				
2020 წლის 31 დეკემბერი	11,279	13,648	135,332	160,259
2021 წლის 31 დეკემბერი	8,867	-	108,527	117,394

ძირითად საშუალებებზე ცვეთის ღირებულება მოხდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5 არამატერიალური აქტივები

ლარში	ლიცენზიები
<i>ისტორიული ღირებულება</i>	
2020 წლის 1 იანვარი	700
შემოსვლა	48,174
გასვლა	(700)
2020 წლის 31 დეკემბერი	48,174
შემოსვლა	-
გასვლა	-
2021 წლის 31 დეკემბერი	48,174

ლარში

	ლიცენზიები
დაგროვილი ამორტიზაცია	
2020 წლის 1 იანვარი	(700)
ამორტიზაცია	(2,545)
გასვლა	700
2020 წლის 31 დეკემბერი	(2,545)
ამორტიზაცია	(9,658)
2021 წლის 31 დეკემბერი	(12,203)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2020 წლის 31 დეკემბერი	45,629
2021 წლის 31 დეკემბერი	35,971

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა მოხდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

6 ფული საბანკო ანგარიშებზე

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე (ლარში)	63,910	63,736
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე (სხვა ვალუტაში)	45,819	48,477
დეპოზიტები*	353,192	691,407
ფული ბანკში საბროკერო საქმიანობისთვის (ლარში)	40,065	20,000
	502,986	823,620

*კომპანიამ 2020 წლის სექტემბერში ტერა ბანკში განათავსა მოთხოვნამდე დეპოზიტი აშშ დოლარში, საპროცენტო სარგებელი შეადგენს 2%.

7 სხვა ვალდებულებები

ლარში

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები ძირითადი საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე	-	232,064
სხვა ვალდებულებები განსხვავებულ მომსახურებებზე	32,790	33,388
სახელფასო ვალდებულებები	10,997	3,979
	43,787	269,431

8 ინვესტიციები

კომპანია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 2%-იან წილს სს საქართველოს საფონდო ბირჟის აქციებში ღირებულებით 4,100 ლარი.

კომპანიის ინვესტიციის კლასიფიკაცია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულების მოგება/ზარალში ასახვით.

ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან.

9 თანამშრომელთა სარგებელი

ლარში

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები	166,847	55,211
სხვა სარგებელი	17,766	8,467
	184,613	63,678

10 სხვა ხარჯები

ლარში

	2021 წელი	2020 წელი
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	32,400	60,627
ლიცენზიები ერთ წლამდე ვადით	32,299	6,854
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები	29,827	10,814
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	22,676	1,869
მივლინების ხარჯი	18,367	14,795
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8,402	-
რეკლამის ხარჯი	8,095	9,393
საოფისე ხარჯი	7,840	-
დაცვის ხარჯი	3,100	-
მცირეფასიანი ინვენტარი	973	5,048
სხვა	23,097	9,786
	187,076	119,186

11 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

11.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

სასამართლო დავები

კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გამიფრული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გამიფრა ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხადარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის ღირებულება, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

11.2 ძირითადი დავებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადი საწარმო

2021-2020 წლებში კომპანიამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. კომპანია უახლოეს წლებში გეგმავს თავისი საოპერაციო საქმიანობის გაფართოებას, შესაბამისად შემოსავლების ზრდას, რათა შეძლოს საკუთარი შემოსავლებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა.

კომპანიის მოკლევადიანი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს, აგრეთვე კანონმდებლობით კომპანიას მოეთხოვება მინიმალური კაპიტალის შენარჩუნება 500,000 ლარის ოდენობით, რაც საკმარისია კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯმენტი მიიჩნევს, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის დამტკიცების საფუძველზე.

12 ფინანსური ინსტრუმენტები

12.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

12.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ლარში

ამორტიზირებული ღირებულება
ფული საბანკო ანგარიშებზე

2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
502,986	823,620
502,986	823,620

ფინანსური ვალდებულებები

ლარში

ამორტიზირებული ღირებულება
სხვა ვალდებულებები
საიჯარო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
43,787	269,431
-	62,375
43,787	331,806

13 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიას აქვს ფულადი სახსრები და საიჯარო ვალდებულებები აშშ დოლარში, ფულადი სახსრები გამოყენებულია საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ლარში

2021 წლის 31 დეკემბერი

დოლარი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

398,918

398,918

წმინდა პოზიცია

398,918

ლარში

2020 წლის 31 დეკემბერი

დოლარი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

739,884

739,884

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

22,055

22,055

წმინდა პოზიცია

717,829

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2021: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2020: 15%) არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (20120: 15%) განაკვეთით.

ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარში

მოგება/ზარალი

აშშ დოლარის გავლენა	
2021 წელი	2020 წელი
59,838	107,674

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმომქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანია არ ფლობს სესხებს, შესაბამისად არ დგას საპროცენტო განაკვეთის რყევების რისკის ქვეშ.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ საბანკო ანგარიშებზე, სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით.

რისკების მართვის მიზნით კომპანია ნაღდ ფულს კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განათავსებს.

კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ უზრუნველყოფებს. (მაგ. ფულს და ფულად ექვივალენტებს ბანკში)

სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნების სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სხვა მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სხვა მოთხოვნები ჩამოიწერება (ე.ი. წყდება მათი აღიარება), როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიას არ გააჩნია ხანდაზმული მოთხოვნები, შესაბამისად არ მომხდარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უაზლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

ლარში

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი			
6 თვეზე ნაკლები	43,787	-	43,787
	43,787	-	43,787

ლარში

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი			
6 თვეზე ნაკლები	269,431	-	269,431
1-5 წლამდე	-	37,085	37,085
	269,431	37,085	306,516

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულადი რესურსები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს.

14 სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

14.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანია არ ფლობს ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით, თუმცა ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით, რომელიც წარმოადგენს ინვესტიციებს. კომპანიამ გამოიყენა ის საჭირო და სრულყოფილი ინფორმაცია ინვესტიციის რეალური ღირებულების შესახებ, რომლითაც დაადგინა რომ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან. ინვესტიციის რეალური ღირებულება კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1 დონეზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებასთან.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ამის განსაზღვრის შედეგად, ყველაზე არსებითი კოეფიციენტი არის დისკონტირების განაკვეთი. ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე.

15 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის. კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

კომპანია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი მენატანი არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები.

16 პირობითი ვალდებულებები

16.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

16.2 დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 16,354 ლარი.

16.3 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს საქმიანობა და მესამე მხარის პასუხისმგებლობა საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებრივი და გარემოსგან მიყენებული ზიანისგან. ვიდრე კომპანია არ უზრუნველყოფს დაზღვევის შესაბამის დონეს რისკია, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

16.4 სასამართლო დავა

კომპანიის ძველ მფლობელსა (ბიძინა ბეჟუაშვილი) და სს საქართველოს ბანკს (მოსარჩელე) შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა კონდიციური ვალდებულებებიდან გამომდინარე თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება 2009 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული შუამავლობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც დაიდო სს საქართველოს ბანკს, შპს აბი მენეჯმენტს და BBAM Limited-ს შორის, ბანკის მიერ ზედმეტად

ჩარიცხულ 514,696 ლარზე. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მან შეცდომით გაუგზავნა 18 ინვოისი შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“-ს და ამ უკანასკნელმა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო თანხა 514,696 ლარის ოდენობით.

2020 წლის 21 ივლისს ძველი მფლობელის მიერ შპს აბი ასეტ მენეჯმენტის სასარგებლოდ გაიცა მინდობილობა, რომლის საფუძველზეც კომპანიას მიენიჭა უფლებამოსილება ძველი მფლობელის სახელით აწარმოოს დავა. დავასთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: შპს „აბი ასეტ მენეჯმენტის“ წილის შესყიდვისას ძველ მფლობელსა და საზოგადოებას შორის გაფორმდა შეთანხმება (და გაიცა შესაბამისი საბანკო გარანტია), რომლითაც ძველმა მფლობელმა აიღო ვალდებულება, დავის საზოგადოების საწინააღმდეგოდ დასრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს საზოგადოებას სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა. პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა 2021 წლის 15 მარტს, სადაც სასამართლოს მიერ არ იქნა მიღებული რაიმე სახის გადაწყვეტილება. საქმის განხილვის ამ ეტაპზე კომპანია სრულყოფილად ვერ აფასებს დავის დასრულების შედეგებს.

16.5 მარეგულირებლის რეგულაციებთან შესაბამისობა

კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე N145/04 ბრძანებაში.

N145/04 ბრძანებაში 2018 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს ავალდებულებს, რომ მოახდინონ საკუთარი და კლიენტების აქტივების გამიჯვნა და რეკონსილაცია. კომპანია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, რასთან დაკავშირებითაც ამავე ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკს წლიურ აუდიტირებულ ანგარიშგებასთან ერთად წარუდგენს აუდიტორის მიერ მომზადებულ წერილს ხელმძღვანელობისადმი და განცხადებას, რომ საბროკერო კომპანია აკმაყოფილებს N145/04 ბრძანების მე-9 მუხლში შესული ცვლილებით მოთხოვნილ რეგულაციებს.

17 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები, საერთო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის მენეჯმენტი, როგორც აღწერილია ქვემოთ.

17.1 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
	საერთო კონტროლის ქვეშ	საერთო კონტროლის ქვეშ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სხვა ვალდებულებები	24,563	(262,292)
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
სხვა ხარჯები	2021 წელი 35,653	2020 წელი 24,361

18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო, რაც თავის მხრივ მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა, ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ასევე სხვა სახელმწიფოებმა, ომის შეწყვეტის მიზნით, გადაწყვიტეს რუსეთისთვის მკაცრი სანქციების დაწესება. სანქციები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო რუსეთში არსებულ კომპანიებზე, არამედ მათზეც, ვისაც საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ ამ კომპანიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, ეკონომიკურ ურთიერთობებზე იქონიებს გავლენას, ამ ეტაპზე შეუძლებელია საკმარისად ზუსტად შევაფასოთ რა მასშტაბისა იქნება ამ მოვლენების გავლენა კომპანიაზე და მის საქმიანობაზე. ზოგადად კომპანიას არ აქვს ურთიერთობები რუსეთში დაფუძნებულ კომპანიებთან.